ხელშეკრულება

უძრავი ნივთით შეზღუდული სარგებლობის შესახებ

(უსასყიდლო უზუფრუქტი)

21.12.2021 წ. **ქ.თბილისი**

პუნქტი 1

მხარეები

1.1 ერთი მხრივ, შპს ,,გრინლანდია" (ს/ნ 404515681) (შემდგომში ,,მესაკუთრე"), წარმოდგენილი მისი დირექტორის, ზურაბ წვერიკმაზაშვილის (პ/ნ 01011004814) მიერ, რომელიც მოქმედებს საზოგადოების წესდებითა და საქართველოს კანონმდებლობით მისთვის მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში და,

1.2 მეორე მხრივ, სს ,,თელასი" (ს/ნ 202052580) (შემდგომში ,,უზუფრუქტუარი") , წარმოდგენილი მისი გენერალური დირექტორის, სერგეი კობცევის (პ/ნ 01591002308) მინდობილი პირის ზაზა აზარაშვილის (პ.ნ 01002026605) მიერ,ხელს ვაწერთ წინამდებარე ხელშეკრულებას და ვთანხმდებით, რომ:

პუნქტი 2

ხელშეკრულების საგანი

2.1 მესაკუთრე ვალდებულია, ელექტროენერგიის ტრანსფორმატორის განთავსების მიზნით, უზუფრუქტუარს დროებით სარგებლობაში გადასცეს უძრავი ნივთის ნაწილი, მდებარე: ქ.თბილისში, სოფელ თხინვალაში, 87.00კვ.მ-დან 18 კვ.მ. მიწის ნაკვეთი (ს/კ 72.16.33.150) (შემდგომში ,,ხელშეკრულების/უზუფრუქტის ობიექტი"), რომელიც საკადასტრო გეგმაზე მონიშნულია ყვითელი ფერით.

2.2 უზუფრუქტუარი ვალდებულია, სარგებლობაში გადაცემული უძრავი ნივთი გამოიყენოს მხოლოდ წინამდებარე ხელშეკრულებით განსაზრული მიზნით და მხარეთა შორის შეთანხმებული პირობების შესაბამისად.

პუნქტი 3

ხელშეკრულების ფასი და გადახდის წესი

უზუფრუქტუარი არ არის ვალდებული, მესაკუთრეს გადაუხადოს საზღაური ხელშეკრულების ობიექტით სარგებლობისათვის (უსასყიდლო უზუფრუქტი).

პუნქტი 4

მხარეთა უფლება-მოვალეობები

4.1 მხარეები ვალდებულნი არიან, ჯეროვნად და კეთილსინდისიერად შეასრულონ წინამდებარე ხელშეკრულებით მათთვის დაკისრებული ვალდებულებები და ბოროტად არ გამოიყენონ მინიჭებული უფლებები;

4.2 მხარეები ვალდებულნი არიან, აუნაზღაურონ ერთმანეთს მათ მიერ ხელშეკრულების ან/და მისი დანართ(ებ)ის სრულად ან ნაწილობრივ შეუსრულებლობის შედეგად მიყენებული ზიანი კანონმდებლობით ან/და მხარეთა მიერ შემდგომი შეთანხმებით დადგენილი წესით; ამასთან, ზიანის ანაზღაურებით მხარე არ თავისუფლდება ხელშეკრულებით ან/და მისი დანართ(ებ)ით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისაგან;

4.3 მესაკუთრე ვალდებულია, ხელი შეუწყოს უზუფრუქტუარს ხელშეკრულების ობიექტით სარგებლობაში, რაც გულისხმობს მესაკუთრის მხრიდან უკანონო ხელშეშლის დაუშვებლობას უზუფრუქტის მოქმედების პერიოდში, მაგრამ მისი დასრულების შემდგომ

არ გამორიცხავს უკანონო მფლობელობიდან ნივთის გამოთხოვის თაობაზე პრეტენზის წაყენების შესაძლებლობას;

4.4 მხარეს უფლება აქვს, ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ნებისმიერი ვალდებულების დარღვევის გამო, მეორე მხარეს მოსთხოვოს ერთჯერადი პირგასამტეხლო 5 000 (ხუთი ათასი) ლარის ოდენობით. ამასთან, პირგასამტეხლოს გადახდა მხარეს არ ათავისუფლებს ვალდებულების შესრულებისაგან;

4.5 უზუფრუქტუარს უფლება აქვს, მხოლოდ წინამდებარე ხელშეკრულებით განსაზღვრული მიზნით, როგორც მესაკუთრემ, გამოიყენოს უზუფრუქტის ობიექტი და არ დაუშვას მესამე პირთა მიერ მისით სარგებლობა, ხოლო სარგებლობაში ხელშეშლის შემთხვევაში - მოითხოვოს მისი აღკვეთა;

4.6 უზუფრუქტუარს არ აქვს უფლება, გაასხვისოს წინამდებარე ხელშეკრულების ობიექტი, დატვირთოს იგი იპოთეკით ან/და სხვა რაიმე სანივთო/ვალდებულებით-სამართლებრივი უფლებით, გამოიყენოს იგი მესამე პირებთან მოთხოვნის უზრუნველყოფის საშუალებად ან/და გადასცეს სხვა პირ(ებ)ს მემკვიდრეობით;

4.7 უზუფრუქტუარს არ აქვს უფლება, შეცვალოს ხელშეკრულების ობიექტით სარგებლობის მიზანი და იგი გამოიყენოს სხვა დანიშნულებით;

4.8 უზუფრუქტუარი ვალდებულია, იზრუნოს ხელშეკრულების ობიექტის ნორმალური სამეურნეო მოვლისათვის, ხელშეკრულების ობიექტის დაზიანების ან მის შესანახად წარმოშობილი გაუთვალისწინებელი ხარჯების გაწევის და მესაკუთრისათვის აღნიშნული გარემოებების შესახებ შეტყობინეის ვალდებულება ეკისრება უზუფრუქტუარს;

4.9 უზურფრუქტუარს უფლება აქვს, ხელშეკრულების ვადის გასვლის შემდგომ, მოაშოროს უძრავ ნივთს მის მიერ შეძენილი ის საგნები, რომლებიც განსაზღვრული იყო ხელშეკრულების ობიექტით სარგებლობისათვის;

4.10 უზუფრუქტუარისათვის ცნობილი და მისაღებია უძრავი ნივთის საჯარო რეესტრის ამონაწერის თანახმად არსებული ამჟამინდელი უფლებრივი მდგომარეობა (განცხადება N 882021957096 - 09/11/2021).

4.11 უზუფრუქტუარი ვალდებულია, ნებისმიერი ცვლილების განხორციელების საჭიროების შემთხვევაში, აცნობოს მესაკუთრეს ამის შესახებ და განსახორციელებელი ნებისმიერი ცვლილება, შეათანხმოს მესაკუთრის მიერ განსაზღვრულ უფლებამოსილ პირთან;

4.12 უზუფრუქტუარი ვალდებულია, მესაკუთრის მითითების შემდგომ, დაუყოვნებლივ განახორციელოს იმ ნივთების დემონტაჟი, რომელთა განთავსების უფლება მას მესაკუთრისაგან არ მიუღია;

4.13 უზუფრუქტუარი ვალდებულია, დაიცვას ტერიტორიის და შენობის არქიტექტურული პროექტის საავტორო უფლებების დაცვის შესახებ არსებული წესები;

4.14 უზუფრუქტუარი ვალდებულია, აცნობოს მესაკუთრეს ისეთი ორგანიზაციულ-სამართლებრივი ცვლილებების შესახებ, რომლებიც გამოიწვევენ წინამდებარე ხელშეკრულებით უზუფრუქტუარისათვის მინიჭებული უფლებ(ებ)ისა თუ დაკისრებული ვალდებულ(ებ)ების, როგორც არამატერიალურ ქონებრივ სიკეთეზე საკუთრების უფლების ან საკუთრებაში მიღების მოთხოვნის მესამე პირ(ებ)ისთვის გადაცემას. ამასთან, აღნიშნული ფაქტის დადგომა არ გამოიწვევს უზუფრუქტის შეწყვეტას.

4.15 უზუფრუქტუარი ვალდებულია, თავად უზრუნველყოს ქ. თბილისის მერიის სამსახურებისაგან ენერგოობიექტის განთავსებაზე შესაბამისი თანხმობის მოპოვება. იმ შემთხვევაში თუ აღნიშნული თანხმობის გარეშე მოხდება ენერგოობიექტის განთავსება უზუფრუქტუარი თავად არის პასუხისმგებელი მიწის ნაკვეთის მესაკუთრის/მოსარგებლის ან/და მესამე პირების მიმართ მიყენებულ ნებისმიერი სახის ზიანზე/ზარალზე/ჯარიმაზე/გაწეულ ხარჯებზე;

4.16 მესაკუთრე ვალდებულია არ შეუზღუდოს უზუფრუქტუარს უზუფრუქტის საგანთან წვდომა, რათა უზრუნველყოფილი იყოს ენერგოობიექტის გამართული ფუნქციონირება;

4.17 უზუფრუქტუარი ვალდებულია, მესაკუთრისგან მოიპოვოს თანხმობა უზუფრუქტის ობიექტზე არსებულ ენერგობიექტზე ყოველი ახალი მომხმარებლის დაერთების თაობაზე და არ განახორციელოს დაერთების სამუშაოები შესაბამისი თანხმობის გარეშე; აღნიშნული არ გულისხმობს მესაკუთრის ვალდებულებას, გასცეს თანხმობა ყველა მომხმარებლის დაერთების თაობაზე;

4.18 მესაკუთრისთვის ცნობილია იმის შესახებ, რომ სს „თელასი" აწარმოებს ანტიკორუფციულ პოლიტიკას და ავითარებს კულტურას, რომელიც აღკვეთს კორუფციულ გამოვლინებებს;

4.19 წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისას მხარეები, მათი აფილირებული პირები, მუშაკები ან შუამავლები არ იხდიან, არ სთავაზობენ გადახდას და არ აძლევენ რაიმე სახის ფულად სახსრებს ან ფასეულობების გადახდის ნებას, პირდაპირ ან არაპირდაპირ, ნებისმიერ პირებს, გავლენის მოსახდენად ამ პირების ქმედებებზე ან გადაწყვეტილებებზე რაიმე სახის არამართლზომიერი უპირატესობის მიღების მიზნით ან სხვა არამართლზომიერი მიზნით;

4.20 წინამდებარე ხელშეკრულების მიხედვით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისას მხარეები, მათი აფილირებული პირები, მუშაკები ან შუამავლები არ ახორციელებენ ისეთ ქმედებებს, რომლებიც წინამდებარე ხელშეკრულების მიზნებისთვის გამოყენებული კანონმდებლობით კვალიფიცირებულია, როგორც ქრთამის მიცემა/აღება, კომერციული მოსყიდვა, ასევე ქმედებებს, რომლებიც არღვევს გამოყენებული კანონმდებლობისა და საერთაშორისო აქტების მოთხოვნებს დანაშაულებრივი გზით მიღებული შემოსავლების ლეგალიზაციის (გათეთრების), კორუფციის წინააღმდეგობის შესახებ;

4.21 იმ შემთხვევაში, თუკი მხარეს უჩნდება ეჭვი, რომ კონტრაგენტი მხარის და (ან) მისი წარმომადგენლის, და (ან) მუშაკის და (ან) აფილირებული პირის მხრიდან მოხდა ან შეიძლება მოხდეს წინამდებარე ხელშეკრულების 4.19-4.20 პუნქტების რომელიმე დებულების დარღვევა, შესაბამისი მხარე ვალდებულებას იღებს, დაუყოვნებლივ აცნობოს ამის შესახებ მეორე მხარეს წერილობითი ფორმით და შეტყობინების ასლი გაუგზავნოს მხარეს. მხარეს, რომელმაც გაგზავნა წერილობითი შეტყობინება, უფლება აქვს, შეაჩეროს წინამდებარე ხელშეკრულების მიხედვით ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, ვიდრე არ მიიღებს დასტურს მეორე მხარისგან, რომ დარღვევა არ მომხდარა ან არ მოხდება. მხარემ, რომელმაც მიიღო აღნიშნული შეტყობინება, ეს დასტური უნდა გაუგზავნოს ამ შეტყობინების გამომგზავნ მხარეს, ზემოაღნიშნული წერილობითი შეტყობინების მიღების თარიღიდან შვიდი სამუშაო დღის განმავლობაში;

4.22 წერილობით შეტყობინებაში მხარე უნდა დაეყრდნოს ფაქტებს ან წარმოადგინოს მასალები, რომლებიც სარწმუნოდ ადასტურებს ან საფუძველს იძლევა ვარაუდისა, რომ მოხდა ან შეიძლება მოხდეს წინამდებარე პუნქტის რომელიმე დებულების დარღვევა კონტრაგენტი მხარის, მისი აფილირებული პირების, მუშაკების ან შუამავლების მხრიდან, რაც გამოიხატება ქმედებებში, რომლებიც გამოყენებული კანონმდებლობით კვალიფიცირებულია, როგორც ქრთამის მიცემა ან აღება, კომერციული მოსყიდვა, ასევე ქმედებები, რომლებიც არღვევს გამოყენებული კანონმდებლობისა და საერთაშორისო აქტების მოთხოვნებს დანაშაულებრივი გზით მიღებული შემოსავლების ლეგალიზაციის (გათეთრების), კორუფციის წინააღმდეგობის შესახებ;

4.23 იმ შემთხვევაში, თუკი ერთი მხარე დაარღვევს ვალდებულებას, თავი შეიკავოს აღნიშნული ხელშეკრულებით აკრძალული ქმედებებისაგან და/ან მეორე მხარე არ მიიღებს იმავე პუნქტით დადგენილ ვადაში დასტურს, რომ დარღვევა არ მომხდარა ან არ მოხდება, მეორე მხარე უფლებამოსილია, ცალმხრივად მოშალოს ხელშეკრულება, მისი მოშლის თაობაზე წერილობითი შეტყობინების გაგზავნის გზით. მხარე, რომლის ინიციატივითაც მოხდა წინამდებარე ხელშეკრულების მოშლა წინამდებარე პუნქტის დებულებების შესაბამისად, უფლებამოსილია, მოითხოვოს რეალური ზარალის ანაზღაურება, რომელიც დადგა ამგვარი მოშლის შედეგად, იმ პირობით, თუკი წარმოადგენს ამგვარი რეალური ზარალის დამადასტურებელ დოკუმენტებს;

4.24 ხელშეკრულების ობიექტით შეზღუდული სარგებლობის უფლების (უზუფრუქტის) საჯარო რეესტრში რეგისტრციის, ასევე ნოტარიუსის მომსახურების ხარჯები ეკისრება უზუფრუქტუარს.

პუნქტი 5

ფორს-მაჟორი

5.1 მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების ნაწილობრივი ან სრული შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ ეს გამოწვეულ იქნა დაუძლეველი ძალის ზემოქმედებით (ფორს-მაჟორი);

5.2 მხარე, რომლისთვისაც წინამდებარე ხელშკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულება შეუძლებელი გახდა დაუძლველი ძალის გარემოებათა წარმოქმნის შედეგად, ვალდებულია, აცნობოს მეორე მხარეს მათი წარმოქმნიდან პირველივე შესაძლებლობისთანავე, მაგრამ არაუგვიანეს 5 (ხუთი) დღისა. წინააღმდეგ შემთხვევაში, მხარეს არ აქვს უფლება, მიუთითოს ამგვარ გარემოებაზე, როგორც პაუხისმგებლობისაგან გათავისუფლების საფუძველზე;

5.3 დაუძლეველი ძალის შედეგად წარმოშობილ ხელისშემშლელ გარემოებათა დადგომისას, მხარეთა მიერ თავიანთი ვალდებულებების შესრულების ვადა გადაიდება ამ გარემოებათა აღმოფხვრამდე.

პუნქტი 6

ხელშეკრულების მოქმედების ვადა და მისი შეწყვეტა

6.1 ხელშეკრულება ძალაში შედის მისი ხელმოწერისთანავე და მოქმედებს 49 (ორმოცდაცხრა) წლის ვადით;

6.2 მხარეს უფლება აქვს, უარი თქვას ხელშეკრულებაზე, თუ მეორე მხარე დარღვეულ ვალდებულებას არ ასრულებს ვალდებულების შესრულებისათვის მიცემულ დამატებით ვადაში;

6.3 ხელშეკრულების ვადაზე ადრე მოშლა შესაძლებელია მხარეთა ორმხრივი შეთანხმებით, შეტყობინების ვადის დაუცველად;

6.4 როგორც ხელშეკრულების მოშლისას, ისე ხელშეკრულებაზე უარის თქმისას , მხარეებს შორის უნდა აღდგეს პირვანდელი მდგომარეობა, რაც გულისხმობს და მოიცავს შემდეგს: ხელშეკრულების მოშლის/ხელშეკრულებაზე უარის თქმის(ხელშეკრულებიდან გასვლის) შესახებ წერილობითი შეტყობინების საფუძველზე, ასეთი შეტყობინების მიღებიდან 3 (სამი) სამუშაო დღის ვადაში მხარეები ვალდებულნი არიან, მოაწერონ ხელი ხელშეკრულების ვადამდე მოშლისა და ხელშეკრულების ობიექტით შეზღუდული სარგებლობის უფლების მესაკუთრისათვის დაბრუნების შესახებ შეთანხმებას.

ყოველგვარი გაუგებრობის თავიდან აცილების მიზნით, პირველადი მდგომარეობის აღდგენაში მხარეები, გულისხმობენ საჯარო რეესტრის ამონაწერში უზუფრუქტის რეგისტრაციის გაუქმებას;

6.5 წინამდებარე ხელშეკრულების 6.1 პუნქტით განსაზღვრული უძრავი ნივთით სარგებლობის ვადის გასვლისთანავე, საჯარო რეესტრის ჩანაწერის რეგისტრაცია, მიწის ნაკვეთებზე დარეგისტრირებული უზუფრუქტის რეგისტრაციის გასაუქმებლად, საკმარისი იქნება მხოლოდ მესაკუთრის მიერ საჯარო რეესრტისათვის ცალმხრივად მიმართვა;

პუნქტი 7

კომუნიკაცია მხარეთა შორის

7.1 ხელშეკრულების შესასრულებლად ყველა აუცილებელი შეტყობინება მხარეებს მიეწოდებათ წერილობითი ფორმით პირადად, დაზღვეული ფოსტით ან/და კურიერის მეშვეობით ან/და ელექტრონული ფოსტის მეშვეობით იმ მისამართებზე, რომელიც მოცემულია ამ ხელშეკრულებაში ან/და ოფიციალურად არის გაცხადებული შესაბამისი მხარის მიერ;

7.2 მისამართის შეცვლის შემთხვევაში, მხარეები ვალდებულნი არიან წერილობით შეატყობინონ ამის შესახებ ერთმანეთს, ასეთი ცვლილებიდან 05 (ხუთი) კალენდარული დღის განმავლობაში. რეკვიზიტების ცვლილების შესახებ შეტყობინების მიღებამდე მხარის მიერ ძველი რეკვიზიტების გამოყენებით განხორციელებული ნებისმიერი ოპერაცია (შეტყობინების გაგზავნა, გადარიცხვა და სხვა) ჩაითვლება მართლზომიერად შესრულებულად;

7.3 გაგზავნილი შეტყობინება ჩაბარებულად ჩაითვლება, თუ ადრესატის მიერ აღნიშნული დადასტურებულია შესაბამისი საფოსტო ან ელექტრონული უკუგზავნილის სახით;

7.4 თუ ადრესატს შეტყობინება არ ბარდება მხარეთა შორის კომუნიკაციის დასამყარებლად ჩვეულებრივ გამოყენებულ რეკვიზიტებზე, გამგზავნი ვალდებულია, უზრუნველყოს შეტყობინების ხელმეორედ გაგზავნა. ასეთ შემთხვევაში, ისევე როგორც ადრესატის მიერ ჩაბრებაზე უარის თქმის ან თავის არიდებისას, გზავნილი ჩაბარებულად ითვლება წარუმატებელი მცდელობის შესახებ გამგზანისათვის ოფიციალური შეტყოინების მიღებიდან.

პუნქტი 8

დავების გადაწყვეტა

წინამდებარე ხელშეკრულებიდან გამომდინარე დავას მხარეები გადაწყვეტენ ურთიერთშეთანხმებით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავა გადაეცემა სასამართლოს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

პუნქტი 9

დასკვნითიდებულებები

9.1 წინამდებარე ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი ცვლილება იურიდიულ ძალას შეიძენს მას შემდეგ, რაც ამის თაობაზე წერილობით შეთანხმდებიან მხარეები;

9.2 ერთ-ერთი მხარის მხრიდან ხელშეკრულების, მისი დანართ(ებ)ის ან/და კანონმდებლობის სრულად ან ნაწილობრივ დარღვევასთან დაკავშირებით მეორე მხარის მიერ მისთვის მინიჭებული უფლებების გამოუყენებლობა არ გავრცელდება ხელშეკრულების, მისი დანართ(ებ)ის ან/და კანონმდებლობის ნებისმიერ შემდგომ დარღვევაზე;

9.3 მხარეები ადასტურებენ, რომ ხელშეკრულების შინაარსი ზუსტად გამოხატავს მხარეთა ნებას და რომ მათ მიერ ნების გამოვლენა მოხდა ხელშეკრულების შინაარსის გონივრული განსჯის შედეგად და არა მარტოოდენ სიტყვა-სიტყვითი მნიშვნელობიდან;

9.4 ხელშეკრულების ან/და მისი დანართ(ებ)ის რომელიმე პუნქტ(ებ)ის ან/და ქვეპუნქტ(ებ)ის ბათილობა არ გამოიწვევს მთლიანად ხელშეკრულების ან/და მისი დანართ(ებ)ის ან/და მათი სხვა პუნქტ(ებ)ის ან/და ქვეპუნქტ(ებ)ის ბათილობას. ბათილი დებულების ნაცვლად, გამოიყენება იმგვარი დებულება, რომელიც უფრო ადვილად მიიღწევა ხელშეკრულებით ან/და მისი დანართ(ებ)ით (მათ შორის ბათილი დებულებით) გათვალისწინებული მიზანი.

9.5 იმ შემთხვევებში, რომლებიც არ არის გათვალისწინებული ხელშეკრულებით ან/და მისი დანართ(ებ)ით მხარეები იხელმძღვანელებენ კანონმდებლობით დადგენილი შესაბამისი ურთიერთობის მარეგულირებელი ნორმებით ან/და დამატებით შეთანხმებული პირობებით;

9.6 ხელშეკრულებას თან ერთვის დანართი N1, რომელიც წარმოედგენს წინამდებარე ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს, მოქმედებს და განიმარტება მასთან ერთობლიობაში;

9.7 წინამდებარე ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე 4 (ოთხი) თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად, რომელთაგან 1 (ერთი) გადაეცემა უზუფრუქტუარს, 2 (ორი) რჩება მესაკუთრეს, ხოლო 1 ერთი), უზუფრუქტის რეგისტრაციის მიზნით, წარედგინება საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს.

პუნქტი 10

<u>მხარეთა რეკიზიტები და ხელმოწერები</u>

მესაკუთრე

შპს „გრინლანდია“

მის.: ქ.თბილისი, ავთო ვარაზის ქ. N42

ტელ.:577797575

ელ.ფოსტა: zura@development.ge

mariam.barishvili@development.ge

დირექტორი

ზურაბ წვერიკმაზაშვილი

წარმომადგენელი

მარიამ ბარიშილი (43001037818)

უზუფრუქტუარი

სს „თელასი“

მის: საქართველო, თბილისი 0119, ვანის ქ. №3

ელ.ფოსტა: zaza.azarashvili@Telasi.ge

ტელ.:0322779999

წარმომადგენელი

ზაზა აზარაშვილი (პ/ნ 01002026605)

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი	N211417126
სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის თარიღი	21.12.2021 წ
სანოტარო მოქმედების დასახელება	**გარიგებაზე ხელმოწერის დამოწმება**
ნოტარიუსი	**ლუიზა ცხადაძე**
სანოტარო ბიუროს მისამართი	**ქალაქი თბილისი, ფიროსმანის ქუჩა #23**
სანოტარო ბიუროს ტელეფონი	2943164 599535661
სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი	76021860171421

დღეს, ორიათას ოცდაერთი წლის ოცდაერთ დეკემბერს, მე, საქართველოს ნოტარიუსი ლუიზა ცხადაძე, რომლის სანოტარო ბიურო მდებარეობს მისამართზე: ქალაქი თბილისი, ფიროსმანის ქ. #23, პირველი სართული, ვადასტურებ საქართველოს მოქალაქის ბატონ ზაზა აზარაშვილის (დაბადების თარიღი:16.10.1976, დაბადების ადგილი: საქართველო, თბილისი, მისამართი: თბილისი გლდანი VII მ/რ კორ. 16 ბ. 49, პირადი ნომერი: #01002026605) ხელმოწერის სინამდვილეს მის მიერ წარმოდგენილ ხელშეკრულება უძრავი ნივთით შეზღუდული სარგებლობის შესახებ (უსასყიდლო უზუფრუქტი). მე შევამოწმე მისი პირადობა მის მიერ წარმოდგენილი პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტით და დავრწმუნდი, რომ მე ნამდვილად ზაზა აზარაშვილმა მომმართა. მე შევამოწმე მისი ქმედუნარიანობა და ვადასტურებ, რომ მის ქმედუნარიანობაში ეჭვის შეტანის საფუძველი არ მქონდა. მე მას განვუმარტე წარმოდგენილ ხელშეკრულებაზე თავისი ხელისმოწერის სამართლებრივი შედეგი. მან განაცხადა, რომ ხელშეკრულებაზე მისი ხელისმოწერა ზუსტად გამოხატავს მის ნებას. შემდეგ, მან ჩემი თანდასწრებით პირადად მოაწერა ხელი ხელშეკრულებაზე, რომელიც შესრულებულია ქართულ ენაზე. მოცემულ დოკუმენტზე ხელმოწერა შესრულებულია ექვს /06/ გვერდზე და დოკუმენტი გაცემულია 4 /ოთხ/ თანაბარმნიშვნელოვან ეგზემპლარად.

სს "თელასი''-ს ეკისრება სანოტარო მომსახურების საზღაურის გადახდა: თითოეული ხელმოწერისათვის ორი /2.00/ ლარი და 00 თეთრი, საფუძველი: „სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურისა და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისთვის დადგენილი საფასურის ოდენობების, მათი გადახდევინების წესისა და მომსახურების ვადების დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთვრობის 2011 წლის 29 დეკემბრის №507 დადგენილების 31.3 და ასევე 39.1 მუხლების თანახმად სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის საფასური 2.00 (ორი) ლარი. სულ გადასახდელია ორნოცდაათი ლარი 00 თეთრი. /50.00/ მე ნოტარიუსი, ლუიზა ცხადაძე, არ ვადასტურებ წარმოდგენილ ხელშეკრულებაში მოტანილი ფაქტის სისწორეს, არამედ ვადასტურებ, რომ წინამდებარე ხელშეკრულებაზე ხელმოწერა ნამდვილად ზაზა აზარაშვილს ეკუთვნის.

ნოტარიუსი: /ლუიზა ცხადაძე/

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი	N211423385
სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის თარიღი	22.12.2021 წ
სანოტარო მოქმედების დასახელება	**გარიგებაზე ხელმოწერის დამოწმება**
ნოტარიუსი	**ლუიზა ცხადაძე**
სანოტარო ბიუროს მისამართი	**ქალაქი თბილისი, ფიროსმანის ქუჩა #23**
სანოტარო ბიუროს ტელეფონი	2943164 599535661
სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი	61998433690021

დღეს, ორიათას ოცდაერთი წლის ოცდაორ დეკემბერს, მე, საქართველოს ნოტარიუსი ლუიზა ცხადაძე, რომლის სანოტარო ბიურო მდებარეობს მისამართზე: ქალაქი თბილისი, ფიროსმანის ქ. #23, პირველი სართული, ვადასტურებ საქართველოს მოქალაქის ქალბატონ მარიამ ბარიშვილის (დაბ. თარიღი: 19 თებერვალი 1996, მისამართი: ქარელი თამარ მეფის ქ. N60, პირადი #43001037818) ხელმოწერის სინამდვილეს მის მიერ წარმოდგენილ ხელშეკრულება უძრავი ნივთით შეზღუდული სარგებლობის შესახებ (უსასყიდლო უზუფრუქტი). მე შევამოწმე მისი პირადობა მის მიერ წარმოდგენილი პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტით და დავრწმუნდი, რომ მე ნამდვილად მარიამ ბარიშვილმა მომმართა. მე შევამოწმე მისი ქმედუნარიანობა და ვადასტურებ, რომ მის ქმედუნარიანობაში ეჭვის შეტანის საფუძველი არ მქონდა. მე მას განვუმარტე წარმოდგენილ ხელშეკრულებაზე თავისი ხელისმოწერის სამართლებრივი შედეგი. მან განაცხადა, რომ ხელშეკრულებაზე მისი ხელისმოწერა ზუსტად გამოხატავს მის ნებას. შემდეგ, მან ჩემი თანდასწრებით პირადად მოაწერა ხელი ხელშეკრულებაზე, რომელიც შესრულებულია ქართულ ენაზე. მოცემულ დოკუმენტზე ხელმოწერა შესრულებულია ექვს /06/ გვერდზე და დოკუმენტი გაცემულია 4 /ოთხ/ თანაბარმნიშვნელოვან ეგზემპლარად.

სს "თელასი''-ს ეკისრება სანოტარო მომსახურების საზღაურის გადახდა: თითოეული ხელმოწერისათვის ორი /2.00/ ლარი და 00 თეთრი, საფუძველი: „სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურისა და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისთვის დადგენილი საფასურის ოდენობების, მათი გადახდევინების წესისა და მომსახურების ვადების დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთვრობის 2011 წლის 29 დეკემბრის №507 დადგენილების 31.3 და ასევე 39.1 მუხლების თანახმად სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის საფასური 2.00 (ორი) ლარი. სულ გადასახდელია ორნოცდაათი ლარი 00 თეთრი. /50.00/ მე ნოტარიუსი, ლუიზა ცხადაძე, არ ვადასტურებ წარმოდგენილ ხელშეკრულებაში მოტანილი ფაქტის სისწორეს, არამედ ვადასტურებ, რომ წინამდებარე ხელშეკრულებაზე ხელმოწერა ნამდვილად მარიამ ბარიშვილს ეკუთვნის.

ნოტარიუსი: /ლუიზა ცხადაძე/

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18


30ФФ0000 ЭЭ60738Э30
ТЭЭЭЭЭ B — V — V
ЭЭЭЭЭ